


*ეგრის-აუდიტი*



**EGRIS-AUDIT**

*დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა  
2021 წლის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე*

*შპს “გიდანი“*


*(ს/კ205259780)*

*2022*

**შპს „გიდანი“**  
**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

**სარჩევი**

|                                                                    |          |
|--------------------------------------------------------------------|----------|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა                                    | -----3   |
| შპს „გიდანი“ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021წ.            | -----9   |
| ინდივიდუალური ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ           | -----9   |
| სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება                         | -----11  |
| ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება                         | -----12  |
| კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება                    | -----13  |
| ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი |          |
| შენიშვნები                                                         | ----- 14 |



## დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა

**დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში  
შპს „გიდანი“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:**

ჩვენ ჩავატარეთ შპს „გიდანის“ (შემდგომში „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ინდივიდუალურ ანგარიშგებას ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2021 ფისკალური წლის სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებას, ფულის მოძრაობის ინდივიდუალურ ანგარიშგებას და ინდივიდუალურ ანგარიშგებას კაპიტალში ცვლილების შესახებ, ასევე ახსნა-განმარტებით შენიშვნებს და რომელიც მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების აბზაცში ასახული საკითხების შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად, ასახავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების ინდივიდუალურ მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

### **პირობითი მოსაზრების საფუძველი**

პირობითი მოსაზრების საფუძველს წარმოადგენს კომპანიის მენეჯმენტის პოლიტიკა ფინანსური აქტივების - სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებასთან დაკავშირებით. კომპანია არ აკეთებს საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვს, მათ შორის კლიენტთან სადავო

მოთხოვნასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე ჩვენი მოსაზრება სავაჭრო მოთხოვნებზე მოდიფიცირებულია.

ასევე პირველადი დოკუმენტაციით არ დასტურდება უძრავი ქონების (ძირითადი საშუალებების) თავდაპირველი ღირებულება, შესაბამისად ჩვენ ვერ ვადასტურებთ აღნიშნული აქტივების საბალანსო ღირებულებას და ცვეთის თანხებს.

ჩვენ დავინიშნეთ შპს „გიდანის“ აუდიტორებად 2021 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, შესაბამისად ვერ დავაკვირდით წლის ბოლოს ჩატარებულ სასაქონლო-მატერიალური მარაგებისა და ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის პროცესს. ალტერნატიული პროცედურებით შეუძლებელი იყო დარწმუნებულებით მატერიალური მარაგებისა და ძირითადი საშუალებების რაოდენობის სისწორეში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თუ აღურიცხავ მარაგებსა და ძირითად საშუალებებზე, ასევე სრული შემოსავლისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებათა შესაბამის ელემენტებში 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშში შესულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას და მასზე ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. მმართველობით ანგარიშში მოგვეწოდება წინამდებარე აუდიტორული დასკვნის გამოცემის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვა ინფორმაციას არ მოიცავს და მასზე რაიმე სახის მარწმუნებელ დასკვნას არ გამოვხატავთ.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი მოვალეობაა, გავცნოთ სხვა ინფორმაციას და, იმავდროულად, დავასკვნათ, ხომ არ არის სხვა ინფორმაცია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის პროცესში მოპოვებული ცოდნის არსებითად შეუსაბამო ან ხომ არ არის ის სხვაგვარად მნიშვნელოვნად არაზუსტი.

### **მმართველობითი ანგარიში**

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი მოსაზრება, ფინანსური ანგარიშგების შესახებ, არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მმართველობითი ანგარიშგება არ მოიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“

**ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები**  
ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს კომპანიას მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არგააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, უზედამხედველონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

**აუდიტორის მოვალეობები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში.**

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავედროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ იდენტიფიკაციას ვუკეთებთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ

მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;

- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი არასარწმუნოება არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.


ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის თუ საქმიანობის ფინანსური ინფორმაციის შესახებ. ჩვენ პასუხს ვაგებთ კომპანიის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. პასუხისმგებლობა აუდიტორულ დასკვნაზე გვეკისრება მხოლოდ ჩვენ. სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

### **შპს “ვერის-აუდიტი”**

(აუდიტორული ფირმის ინდ. სარეგისტრაციო # SARAS-F-596572 )

გარიგების პარტნიორი, დირექტორი : ე.ოკუჯავა

(ინდ. სარეგისტრაციო # SARAS-A-629682)



თბილისი, საქართველო.

10 ოქტომბერი, 2022

## შპს „გიდანი“ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021წ.

### ინდივიდუალური ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

|                                                      | 31.12.2021           | 31.12.2020           |
|------------------------------------------------------|----------------------|----------------------|
| <b>აქტივები</b>                                      |                      |                      |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                            |                      |                      |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                          | 167 354,07           | 1 535 917,21         |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                           | 1 578 911,64         | 1 778 243,79         |
| სხვა მოთხოვნები                                      | 3 419,36             |                      |
| მოკლევადიანი მოთხოვნები საწარმოს პარტნიორების მიმართ | 100                  | 100,00               |
| გადახდილი ავანსები                                   | 2 093 683,65         | 1 157 099,54         |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები                      | 626 520,26           |                      |
| სასაქონლო მარაგები                                   | 10 202 649,70        | 7 151 403,94         |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                        | <b>14 672 638,68</b> | <b>11 622 764,48</b> |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                         |                      |                      |
| ძირითადი საშუალებები                                 | 3 119 566,62         | 3 199 970,72         |
| არამატერიალური აქტივები                              | 6 329,70             | 2 728,01             |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                     | <b>3 125 896,32</b>  | <b>3 202 698,73</b>  |
| <b>სულ აქტივები</b>                                  | <b>17 798 535,00</b> | <b>14 825 463,21</b> |
| <b>ვალდებულებები და კაპიტალი</b>                     |                      |                      |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>                       |                      |                      |
| სავაჭრო ვალდებულებები                                | 169 356,2            | 79 769               |
| მოკლევადიანი სესხები                                 | 350 400,0            | 491 490,0            |
| საგადასახადო ვალდებულებები                           |                      | 63 676,76            |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>                   | <b>5 197 562,33</b>  | <b>5 058 345,82</b>  |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                    |                      |                      |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                | <b>0,00</b>          | <b>0,00</b>          |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                             | <b>5 197 562,33</b>  | <b>5 058 345,82</b>  |

**კაპიტალი**

|                                   |                      |                      |
|-----------------------------------|----------------------|----------------------|
| საწესდებოკაპიტალი                 | 100,00               | 100,00               |
| გაუნაწილებელიმოგება               | 9 021 617,24         | 5 600 957,48         |
| მიმდინარეწლისმოგება               | 2 833 855,28         | 3 420 659,76         |
| გადაფასებისრეზერვი                | 745 400,15           | 745 400,15           |
| <b>სულკაპიტალი</b>                | <b>12600972,67</b>   | <b>9767117,39</b>    |
| <b>სულვალდებულებებიდაკაპიტალი</b> | <b>17 798 535,00</b> | <b>14 825 463,21</b> |

დირექტორი

გურამი ბერიძე



მთავარი ბუღალტერი

მედეია ჩიხრაძე

10.10.2022

*სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება*

|                                     | 2021             | 2020             |
|-------------------------------------|------------------|------------------|
| ამონაგები                           | 42 609 525       | 35 657 164       |
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება | - 39 676 306     | - 31 971 241     |
| <b>საერთო მოგება</b>                | <b>2 933 219</b> | <b>3 685 923</b> |
| სხვასაოპერაციოშემოსავალი            |                  |                  |
| საოპერაციო და კომერციული ხარჯები    |                  |                  |
| დაქირავებულ პირთა გასამრჯელო        | -176 237         | -181300          |
| ცვეთადაამორტიზაცია                  | -113 704         |                  |
| ადმინისტრაციული ხარჯები             | -237 147         | - 345192         |
| სხვა ხარჯები                        | - 762            |                  |
| <b>საოპერაციო მოგება</b>            | <b>2 405 369</b> | <b>3 159 431</b> |
| საპროცენტო ხარჯი                    | -144 955         | -39 784          |
| კურსთაშორის სხვაობა                 |                  |                  |
| სხვა არასაოპერაციო შედეგი           | 573 441          | 301 013          |
| <b>შედეგი გადასახადებამდე</b>       | <b>2 833 855</b> | <b>3 420 660</b> |

დირექტორი  
გურამი ბერიძე




მთავარი ბუღალტერი  
მედეია ჩიხრაძე

10.10.2022

**ფულის ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება**

|                                                   | 2021                | 2020              |
|---------------------------------------------------|---------------------|-------------------|
| <b>ფულიდაფულისეკვივალენტებიპერიოდისდასაწყისში</b> | <b>1 535 917,21</b> | <b>85 827,06</b>  |
| მოგებადაბეგვრამდე                                 | 2 833 855,28        | 3 420 659,76      |
| <b>ფულისნაკადებისაოპერაციოსაქმიანობიდან</b>       | <b>-2 868 321</b>   | <b>-2 243 174</b> |
| სავაჭროდასხვამოკლევადიანიმოთხოვნებისცვლილება      | 195 912,79          | -115 619,98       |
| ცვლილებასასაქონლომარაგებში                        | -3 051 245,76       | 1 951 979,30      |
| ცვლილებასავაჭროდასხვამოკლევადიანვალდებულებებში    | 1613793             | -5043867,30       |
| ცვლილებასახელფასოვალდებულებებში                   |                     | 0,00              |
| ცვლილებასაგადასახადოვალდებულებებში                | -63 676,76          | 63 676,76         |
| ცვლილებაგადახდილავანსებში                         | -936 584,11         | 900 657,13        |
| ცვლილებამიღებულავანსებში                          | 0                   | 0,00              |
| ცვლილებასაპროცენტომოთხოვნებში                     |                     |                   |
| ცვლილებაწინასწარგადახდილგადასახადებში             | -626520,26          | 0,00              |
| <b>ფულისნაკადებისაინვესტიციოსაქმიანობიდან</b>     | <b>76 802</b>       | <b>125 631</b>    |
| ცვლილებაძირითადსაშუალებებში                       | 80 404,10           | 125 630,88        |
| ცვლილებაარამატერიალურაქტივებში                    | -3 601,69           |                   |
| ცვლილებაშვილობილსაწარმოშიინვესტიციებში            |                     |                   |
| ცვლილებასასესხომოთხოვნებში                        | 0,00                |                   |
| ცვლილებასაპროცენტომოთხოვნებში                     |                     |                   |
| <b>ფულისნაკადებისაფინანსოსაქმიანობიდან</b>        | <b>-1 410 900</b>   | <b>146 974</b>    |
| ცვლილებამოკლევადიანსასესხოვალდებულებებში          | -1410900            | 146973,60         |
| ცვლილებასაპროცენტოვალდებულებებში                  |                     |                   |
| ცვლილებაგრძელვადიანსასესხოვალდებულებებში          |                     |                   |
| ცვლილებაგადასახდელდივიდენდებში                    | 0,00                | 0,00              |
| <b>ფულიდაფულისეკვივალენტებიპერიოდისბოლოს</b>      | <b>167 354</b>      | <b>1 535 917</b>  |

დირექტორი

გურამი ბერიძე




მთავარი ბუღალტერი

მედეია ჩიხრაძე

10.10.2022

**კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება**

|                                  | საწესდებო<br>კაპიტალი | მიმდინარე<br>წლის<br>მოგება | გაუნაწილებელი<br>მოგება | რეზერვები      | სულ<br>კაპიტალი   |
|----------------------------------|-----------------------|-----------------------------|-------------------------|----------------|-------------------|
| <b>ბალანსი 31 დეკემბერი 2019</b> | <b>100</b>            | <b>0</b>                    | <b>11389732</b>         | <b>745 400</b> | <b>12 135 232</b> |
| კაპიტალისგაზრდა                  |                       |                             |                         |                | 0                 |
| კაპიტალისშემცირება               |                       |                             |                         |                | 0                 |
| საანგარიშგებოპერიოდისმოგება      |                       | 3 420 660                   |                         |                | 3 420 660         |
| საანგარიშგებოპერიოდისზარალი      |                       |                             |                         |                | 0                 |
| განაწილებული დივიდენდი           |                       |                             | -4210526                |                | -4210526          |
| კორექტირება                      |                       |                             | -1578248                |                | -1578248          |
| <b>ბალანსი 31 დეკემბერი 2020</b> | <b>100,00</b>         | <b>0,00</b>                 | <b>9 021 618</b>        | <b>745 400</b> | <b>9 767 118</b>  |
| კაპიტალის გაზრდა                 |                       |                             |                         |                | 0                 |
| კაპიტალის შემცირება              |                       |                             |                         |                | 0                 |
| საანგარიშგებო პერიოდისმოგება     |                       | 2 833 855                   |                         |                | 2 833 855         |
| საანგარიშგებოპერიოდისზარალი      |                       |                             |                         |                | 0                 |
| გუნაწილებელ მოგებაზე<br>გადატანა |                       |                             |                         |                | 0                 |
| <b>ბალანსი 31 დეკემბერი 2021</b> | <b>100,00</b>         | <b>0,00</b>                 | <b>11 855 473</b>       | <b>745 400</b> | <b>12 600 973</b> |

დირექტორი

გურამი ბერიძე 

მთავარი ბუღალტერი

მედეია ჩიხრაძე

10.10.2022



## ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

### 1 ზოგადი ინფორმაცია

შპს “ გიდანის ” რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციაში 2008 წლის 17 ივლისს და სამართლებრივად წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში კანონმდებლობის შესაბამისად. საგადასახადო ორგანოს მიერ მინიჭებული აქვს ს/ნ 205259780; კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, თემურ ფიფიას ქ. №10

კომპანიის დამფუძნებელი-პარტნიორებია შემდეგი ფიზიკური პირები:

- 1) გურამი ბერიძე პ/ნ 12001012996 წილი - 10%
- 2) ემზარ გელაძე პ/ნ 61005000487 წილი - 90%

კომპანიის დირექტორია გურამ ბერიძე

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კვების პროდუქტების იმპორტი და რეალიზაცია საქართველოში.

### 2 . მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და ფინანსური ანგარიშგების შედგენის საფუძველი

ეს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება კომპანიის მიერ მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განხილულია ქვემოთ, რაც თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი წლისათვის, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

#### 2.1 მომზადების საფუძველები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ისტორიული ღირებულებების საფუძველზე.

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან. შეფასებები და დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების

ცვლილების აღიარება ხდება შეფასების პერიოდში და ნებისმიერ მომავალ პერიოდში, რომელზედაც მოქმედებს ამგვარი ცვლილება.

ფინანსური ანგარიშგება მოზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ „კომპანია“ მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შესძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. საწარმოს არა აქვს განზრახული ლივიდაციის პროცესში შესვლა ან საქონლის ან მოსახურების ბაზარზე მიწოდების შეწყვეტა.

ახსნა განმარტებით შენიშვნებში ავლნიშნავთ, რომ მოხდა წინა საანგარიშგებო წლის მაჩვენებლების დაკორექტირება მიმდინარე 2021 წლის მონაცემებთან შესაბამისობის მიზნით.

## 2.2 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები

მუხლები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში - ლარში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კონვერტირდება ლარში პერიოდის ბოლო დღეს არსებული ოფიციალური კურსით (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით). უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების ლარში კონვერტაციის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2021 წლის 31 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით 1 აშშ დოლარი შეადგენდა 3,0976 ლარს, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბერს 3,2766 ლარს.

## 2.3 ფულიდაფულისექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშებზე, რომელიც წარდგენილია შემდეგნაირად:

**31.12.2021**

**31.12.2020**

|                          |           |            |
|--------------------------|-----------|------------|
| ფული სალაროში            | 143837,12 | 834783,01  |
| ფული საბანკო ანგარიშებზე | 23516,95  | 701134,20  |
| სულ:                     | 167354,07 | 1535917,21 |

## 2.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის მიხედვით. ყოველი პერიოდის ბოლოს მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება იმის დასადგენად არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება მოთხოვნის თანხების ვერ დაფარვისა. თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს მაშინ გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგება ზარალში. სავაჭრო მოთხოვნები და გადახდილი ავანსები წარდგენილია შემდეგნაირად:

|                                                 | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|-------------------------------------------------|------------|------------|
| მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან                 | 1 578 912  | 1 778 244  |
| გადახდილი ავანსები                              | 807        | 25563      |
| გადახდილი ავანსები უცხოელი მომწოდებლების მიმართ | 2 092 875  | 1 131 536  |
|                                                 |            |            |
| სულ                                             | 3 672 594  | 2 935 343  |

## 2.5 სასაქონლო მარაგები,

სასაქონლო მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და გაყიდვის ფასის შემცირებული რეალიზაციის ხარჯებით შეფასებით ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულების შეფასების მეთოდია საშუალო შეწონილი მეთოდი. ყოველი პერიოდის ბოლოს სასაქონლო მარაგები მოწმდება გაუფასურებაზე. იმ შემთხვევაში თუ გაუფასურების მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ზარალში. სასაქონლო მარაგები წარდგენილია შემდეგნაირად:

|                                       | 31.12.2021  | 31.12.2020 |
|---------------------------------------|-------------|------------|
| გასაყიდად გამიზნული საქონელი საწყობში | 10202649,70 | 7151403,94 |
| სულ                                   | 10202649,70 | 7151403,94 |

## 2.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიული ღირებულება შემცირებული ცვეთით და გაუფასურების ზარალის თანხით (ზარალის არსებობის შემთხვევაში). ისტორიული ღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივების იმ ადგილამდე და იმ მდგომარეობამდე მიყვანისთვის, რაც აუცილებელია აქტივების მენეჯმენტის მიერ სასურველი ოპერირებისათვის.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების (გარდა უძრავი ქონებისა) სასარგებლო გამოყენების ვადა განსაზღვრულია საწარმოს მენეჯმენტის მიერ და შეადგენს 10 წელს. უძრავი ქონების სასარგებლო გამოყენების ვადა განსაზღვრულია 20 წლით. ძირითადი საშუალებები წარდგენილია შემდეგნაირად:

| 2021                       | საწყისი საბალანსო ღირებულება | შემოსვლა | გასვლა | ცვეთა    | საბოლოო საბალანსო ღირებულება |
|----------------------------|------------------------------|----------|--------|----------|------------------------------|
| ავეჯიდასხვაინვენტარი       | 1890,87                      |          |        | 862,29   | 1028,58                      |
| მანქანები და მოწყობილობები | 155732,52                    |          |        | 21890,45 | 133842,07                    |
| მიწის ნაკვეთები            | 1828539,83                   |          |        | 0        | 1828539,83                   |
| ნაგებობა                   | 25312,84                     |          |        | 7354,80  | 17958,04                     |

|                          |                   |                 |  |                  |                   |
|--------------------------|-------------------|-----------------|--|------------------|-------------------|
| საოფისე მოწყობილობა      | 9154,70           | 33299,61        |  | 7842,44          | 34611,87          |
| სატრანსპორტო საშუალებები | 73222,70          |                 |  | 9965,16          | 63257,54          |
| შენობა                   | 1106117,26        |                 |  | 65788,68         | 1040328,69        |
| სულ                      | <b>3199970,72</b> | <b>33299,61</b> |  | <b>113703,82</b> | <b>3119566,62</b> |

## 2.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიული ღირებულების თანხა შემცირებული ამორტიზაციით და გაუფასურების ზარალის თანხით (ზარალის არსებობის შემთხვევაში). არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება მათი სასარგებლო გამოყენების პერიოდის პროპორციულად. ხოლო იმ არამატერიალურ აქტივებს რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადა უცნობია ამორტიზაცია არ ერიცხება. საწარმოს არამატერიალური აქტივებს წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტები:

| 2021       |                                |                |        |                 |                                |
|------------|--------------------------------|----------------|--------|-----------------|--------------------------------|
|            | საწყისისაბალანსოღირებულ<br>ება | შემოსვლა       | გასვლა | ამორტიზა<br>ცია | საბოლოოსაბალანსოღირებულ<br>ება |
| პროგრამები | 2728,01                        | 3601,69        |        |                 | 6329,70                        |
|            |                                |                |        |                 |                                |
| სულ        | <b>2728,01</b>                 | <b>3601,69</b> |        |                 | <b>6329,70</b>                 |

## 2.8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღიარდება როდესაც კრედიტორი შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრებ თავის ვალდებულებებს და თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. ხოლო სავაჭრო ვალდებულებები შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, რაც გაიანგარიშება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

## 2.9 სესხები

სასესხო ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, ხოლო შემდგომ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და ჩაირთვება ფინანსურ ხარჯებში. სასესხო ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულება, თუ კომპანიას აქვს უპირობო ვალდებულება გადაიხადოს სესხი საანგარიშო პერიოდიდან არაუგვიანეს 12 თვისა.

## **2.10 საწესდებო კაპიტალი**

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. მისი ცვლილება ხდება მხოლოდ პარტნიორების გადაწყვეტილების საფუძველზე. კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 100 ლარს.

## **2.11 ამონაგები**

ამონაგები აღიარდება მისაღები თანხების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს საქონლის რეალიზაციის შედეგად მისაღებ თანხებს ფასდაკლებების და დამატებული ღირებულების გადასახადის გაუთვალისწინებლად. კომპანია აღიარებს ამონაგებს იმ შემთხვევაში თუ ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია და მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

## **2.12 მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები წარმოიშობა როდესაც პარტნიორზე მოგების განაწილება ხდება. ასევე მოგების გადასახადით იბეგრება არაეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები და სხვა ობიექტები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით.

## **2.13 დამატებული ღირებულების გადასახადი**

ბიუჯეტში გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) წარმოიშობა კომპანიის მიერ საქონლისმიწოდებისას. ვინაიდან კომპანიას უფლება აქვს ჩასათვლელო დღგ-თი შეამციროს გადასახდელი დღგ-ს თანხა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დღგ-ს გადასახდელი ან ჩასათვლელო თანხა აღირიცხება მათ შორის სხვაობის თანხით.

## **2.14 დივიდენდის განაწილება**

დივიდენდის განაწილება აღიარდება ვალდებულებად იმ პერიოდში როდესაც პარტნიორის მიერ მიიღება გადაწყვეტილება დივიდენდის განაწილების თაობაზე. საწარმოში დივიდენდი 2021 წელს არ განაწილებულა.

## **2.15 მსს ფასს პირველადი გამოყენება**

კომპანიის 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს მის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას რომელიც კომპანიის მიერ მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს). შესაბამისად კომპანიის ამ სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2019 წლის 1 იანვარი.

## **2.16 ურთიერთდამოკიდებული პირები**

საწარმოს ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ მისი პარტნიორები და დირექტორი.

## **2.17 საგადასახადო კანონმდებლობა და სასამართლო დავები**

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაცემებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და მნიშვნელოვანი გალენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ აგარიშგებაზე.

კომპანიის მიერ იურიდიული დავების ანარიცხის შეფასება ეფუძნება მიმდინარე ხელმისაწვდომ ფაქტებს და მომავალში მთლიან გასავალს ან ვალდებულების შესახებ სამომავლო პასუხისმგებლობას. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებებისგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება მომავალში შეიცვალოს დადებითად ან უარყოფითად, რაც დამოკიდებულია შედეგებზე ან იმ მოლოდინზე, რომლებიც ეფუძნება ფაქტებს თითოეული ექსპოზიციის ირგვლივ.

## **2.18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მენეჯმენტი**

კომპანია ოპერირებისას აწყდება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო ფასის რისკი

ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკას, ასევე რისკების მართვის პროცესებსა და შეფასების მეთოდებს. დამატებითი ინფორმაცია ხსენებული რისკების ოდენობასთან დაკავშირებით წარმოდგენილია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

### **ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები**

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაც იყენებს კომპანია და რომელთაგანაც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის რისკი, განისაზღვრება შემდეგნაირად:

- სავაჭრო მოთხოვნები
- ფული ბანკში
- სავაჭრო ვალდებულებები
- სესხები

### **საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ან ფინანსური ინსტრუმენტის მეორე მხარე ვერ ასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს. კომპანიას ძირითადად საკრედიტო რისკი გააჩნია კრედიტში გაყიდვებიდან.

საკრედიტო რისკი ასევე წარმოიშობა ფულიდან და ფულის ექვივალენტებიდან, ასევე საბანკო დეპოზიტებიდან.

### **საბაზრო ფასის რისკი**

საბაზრო ფასის რისკი შედგება საპროცენტო განაკვეთის რისკისა და სავალუტო გაცვლის კურსის რისკისგან.

### **2.19. საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენები**

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

დირექტორი

გურამი ბერიძე



მთავარი ბუღალტერი

მედეია ჩიხრაძე

10.10.2022

## **მმართველობითი ანგარიშგება შპს „გიდანი“ (ს/კ205259780)**

**დამოუკიდებელ აუდიტორის დასკვნასთან ერთად საანგარიშო წლისათვის,  
რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს**

### **1. ზოგადი ინფორმაცია, შედეგები და განვითარების გეგმები**

#### **1.1. ზოგადი ინფორმაცია**

შპს “ გიდანი “ რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციაში 2008 წლის 17 ივლისს და სამართლებრივად წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში კანონმდებლობის შესაბამისად. საგადასახადო ორგანოს მიერ მინიჭებული აქვს ს/ნ205259780; კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, თემურ ფიფიას ქ. №10

კომპანიის დამფუძნებელი-პარტნიორებია შემდეგი ფიზიკური პირები:

1) გურამი ბერიძე პ№ 12001012996 წილი - 10%

2) ემზარ გელაძე პ№ 61005000487 წილი - 90%

კომპანიის დირექტორია გურამ ბერიძე

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კვების პროდუქტების იმპორტი და რეალიზაცია საქართველოში.

შპს “ გიდანი “ საკვები პროდუქტების იმპორტიორი კომპანიაა, მას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოაქვს საკვები პროდუქტები და ახორციელებს საბითუმო და საცალო ვაჭრობას ფევილით, ბურღულეულით, შაქრით, რძის პროდუქტებით, საკვები ზეთებით და ცხიმებით. შპს „გიდანი“ 15 წელია კვების პროდუქტების ბაზრის ლიდერი კომპანიაა დაბალი ფასით და მაღალი ხარისხით.

კომპანიის მფლობელობაში არის 6000 კვ/მ მიწის ნაკვეთი, რომელზეც განლაგებულია საოფისე, სასაწყობო ფართები და მაცივარ კონტეინერები. შპს-ს გააჩნია საკუთარი დაფასოების მინიქარხანა. კომპანიაში დასაქმებულია 26 ადამიანი. კომპანიამ 2022 წელს საკუთარ ტერიტორიაზე რკინიგზის ჩიხი შემოიყვანა, რათა ლოჯისტიკურად გაემარტივებინა და შეემცირებინა სატრანსპორტო ხარჯი. შპს-მ 2020

წლისგან განსხვავებით 2021 წელს ტვირთბრუნვა და რეალიზაცია საგრძნობლად გაზარდა. 2020 წლის შემოსავალი შეადგენს – 35657163.00 ლარს; ხოლო 2021 – 42609525.00 ლარს.

კომპანიის სამომავლო გეგმა მოიცავს საკვები პროდუქტების ასორტიმენტის გაფართოებას და ბრუნვის გაზრდას.

## **2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები**

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. საქმიანობის პროცესში კომპანია დგას რიგი რისკების წინაშე რომლებსაც შესაბამისად რისკების დროულად აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმებით უმკლავდება. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს: პროცედურებს, მონიტორინგს, შეზღუდვებს, ანალიზს, სისტემატიზაციას, ავტომატიზაციას და სხვადასხვა სახის აუდიტს.

### **2.1. ქვეყნის ეკონომიური ფაქტორებისა და გარემოს რისკი**

კომპანია ძირითადად საქართველოში ახდენს რეალიზაციას და შესაბამისად მის შემოსავლებსა და მოგებაზე პირდაპირი გავლენა აქვს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, როგორცაა : ეკონომიური ზრდა, ინფლაცია, უმუშევრობა, კონკურენტული ბიზნეს გარემოს არსებობა და ა. შ. აღნიშნული რისკებისგან თავის დასაცავად მუდმივად მიმდინარეობს შესაბამისი პროცესების მონიტორინგი მენეჯმენტის მიერ.

### **2.2. საკანონმდებლო რისკი**

კომპანია საქართველოში აწარმოებს საქმიანობას შესაბამისად მისი ოპერაციებიც საქართველოს კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით რეგულირდება. საგადასახადო და საკანონმდებლო რისკების თავიდან აცილების მიზნით კომპანიაში მუდმივად ხდება მიმდინარე და მომავალი საკანონმდებლო ცვლილებების მონიტორინგი, გაცნობა, ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში იმ გვარად რეაგირება, რომ კომპანიის საქმიანობა თანხვედრაში იყოს კანონმდებლობასთან.

### **2.3. საოპერაციო რისკი**

როგორც ყველა კომპანია შპს „გიდანი“-ც დგას საოპერაციო რისკების წინაშე. კომპანიაში შექმნილია შიდა კონტროლის სამსახური, რომელიც აღნიშნული რისკების მნიშვნელოვანი ნაწილის აღმოჩენასა და პრევენციას ახდენს. ასევე ყოველკვირეულად განიხილება მენეჯმენტის მხრიდან მიმდინარე საოპერაციო საქმიანობა და შესაძლო რისკები. ყოველ თვის რეპორტირებისას ხდება

მიმდინარე/დაგეგმილ/წინა პერიოდის ფინანსურ/არაფინანსურ მონაცემებს შორის ანალიზი და განსხვავების გაანალიზება რისკების შესამცირებლად.

#### **2.4. საკრედიტო რისკები**

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ხელმძღვანელობამ შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ხდება ყოველი ახალი კლიენტის კრედიტუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება კლიენტისთვის კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადების და პირობების შეთავაზება. ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით.

#### **2.5. ლიკვიდურობის რისკები**

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში რომ არ დაზიანდეს კომპანია და კომპანიის რეპუტაცია. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. დეტალები კომპანიის აქტივებზე და ვალდებულებებზე ასევე მოცემულია 2019 და 2020 წლის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

#### **2.6. საბაზრო რისკები**

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვალოს საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევეს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო.

დირექტორი


გურამი ბერიძე



მთავარი ბუღალტერი

მედეია ჩიხრაძე

10.10.2022



## აუდიტორის დასკვნა მმართველობით ანგარიშგებაზე

ჩვენ ჩავატარეთ შპს „გიდანი“-ს (შემდგომში „საწარმო“) 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გამოვხატეთ ჩვენი მოსაზრება აღნიშნულ ანგარიშგებაზე. საწარმოს ხელმძღვანელობამ ასევე მოამზადა და წარმოადგინა მმართველობითი ანგარიშგება. მმართველობით ანგარიშგებაში მოცემული განცხადებების ნაწილი წარმოადგენს სამომავლო განცხადებებს, რომლებიც ეხება კომპანიისა და მთლიანი ჯგუფის გეგმებს, მოლოდინებს, პროგნოზებს, მიზნებს, სტრატეგიებს, სამომავლო მოვლენებს, სამომავლო შემოსავლებს, კაპიტალდაბანდებებს, ფინანსურ საჭიროებებს, ბიზნეს სტრატეგიას და სხვა ინფორმაციას. მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე და მის გონივრულობაზე პასუხისმგებელია საწარმოს ხელმძღვანელობა.

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის თანხვედნილობაზე საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ჩვენი აზრით, მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ინფორმაცია შეესაბამება საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას. ჩვენი აზრით მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს კანონით განსაზღვრულ ყველა ინფორმაციას.

### შპს „ეგრის-აუდიტი“

(აუდიტორული ფირმის ინდ. სარეგისტრაციო # SARAS-F-596572 )

გარიგების პარტნიორი, დირექტორი : ე.ოკუჯავა

(ინდ. სარეგისტრაციო # SARAS-A-629682)



თბილისი, საქართველო.

10 ოქტომბერი, 2022